

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ოქტომბერი

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის ბანსორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

კულტურა და თანამედროვე ხელოვნება



სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრი

პუბლიკაცია მომზადებულია სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრის პროექტის – „ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგისა და სამოქმედო გეგმის ხუთი სფეროს სამოქალაქო მონიტორინგი“ – ფარგლებში.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე.

ავტორი:

ლალი პერტენავა*

„აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელოვნებისა და კულტურის საბჭო“

რედაქტორი:

ნესტან ჩხიკვაძე



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო“ მიერ. ტექსტისა და კომენტარების ავტორების მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მათ ეკუთვნით და არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

პოლიტიკის დოკუმენტი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ საქმიანობის კვლევის ანგარიშს კულტურის სფეროში. ანგარიში განიხილავს სახელმწიფოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით 2016 წელს ხელოვნების, კონკრეტულად კი, თანამედროვე ხელოვნების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე არსებულ საჯარო ინფორმაციას, იმავე სამინისტროდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას, ხელოვნების სფეროს პროფესიონალებისათვის შედგენილ კითხვარს, ინტერვიუებსა და კულტურის სფეროში ან კულტურის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების საჯარო ინფორმაციას. იგი განსაზღვრავს და განაპირობებს ინფორმაციის ანალიზსა და რეკომენდაციებს.

2016 წლის 7 მარტს ქალაქ თბილისში დამტკიცებული ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების სამოქმედო გეგმით განისაზღვრა, რომ მხარეები:

* ლალი პერტენავა, პროექტის „პარტნიორობა უკეთესი გარემოსათვის“ კოორდინატორი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელოვნებისა და კულტურის საბჭო; საზოგადოებრივი ხელოვნების პლატფორმის თანადაამფუძნებელი; ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის დოქტორანტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

- ხელს შეუწყობენ კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ იუნესკოს 2005 წლის კონვენციის იმპლემენტაციას;
- ითანამშრომლებენ საქართველოში ინკლუზიური კულტურული პოლიტიკის განვითარებისა და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ვალორიზაციის საკითხებზე სოციო-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- მხარს დაუჭერენ საქართველოს კულტურის წარმომადგენლების მონაწილეობას კულტურული თანამშრომლობის პროგრამებში, მათ შორის Creative Europe პროგრამაში.

2016 წლის 1 ივლისიდან ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში. ასოცირების დღის წესრიგში კულტურის სფეროში თანამშრომლობის მუხლი 363-ით განისაზღვრა:¹

მხარეები ითანამშრომლებენ შემდეგ ძირითად სფეროებში: ა) კულტურის სფეროში თანამშრომლობა და კულტურული გაცვლები, ბ) ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილურობა და კულტურის სფეროს ინსტიტუციური გაძლიერება, გ) კულტურათაშორისი დიალოგი.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ქვეთავში „თანამშრომლობის სხვა სფეროები“ გამოვყოფ შემდეგ პუნქტებს:

194.1 საქართველოსა და ევროკავშირის ნევრ ქვეყნებს შორის ორმხრივი კულტურის დღეების გამართვა; 194.2 კულტურის სფეროში საერთაშორისო ღონისძიებების (ფესტივალები, ბაზრობები, კონფერენციები და სხვა) საქართველოში გამართვა; 194.3 თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო პლატფორმის ხელშეწყობა; 194.4 პროექტის „საქართველოს კულტურის დედაქალაქი“ განხორციელება საერთაშორისო მხარდაჭერითა და სტანდარტების შესაბამისად; 194.5 ლიტერატურული ფორუმ-დიალოგის გამართვა ქართველი და უცხოელი გამომცემლებისთვის; 194.6 კულტურის სფეროს საერთაშორისო ღონისძიებებში (ფესტივალები, ბაზრობები, ბინალები, ტრინალები და სხვა) მონაწილეობა.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ხელოვნება არ არის გამოყოფილი თანამშრომლობის შეთანხმების პუნქტებში, იგი იგულისხმება კულტურის სფეროში. ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილურობა მოიცავს თანამედროვე ხელოვნებას და იგი განსაკუთრებული ყურადღების საგანია, რადგან თანამედროვე ხელოვნება კულტურის სხვა დარგებს შორის ირეკლავს თანამედროვე სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ ცვლილებებსა და ეფუძნება იმ ღირებულებებს, რომელთაც აყალიბებს იუნესკოს 2005 წლის „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენცია.

¹ http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_en.pdf საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი (არაოფიციალური თარგმანი)

თანამედროვე ხელოვნების განსაზღვრება

თანამედროვე ხელოვნების ცნების უნივერსალური განმარტება არ არსებობს. ის შეიძლება ნიშნავდეს ახლა ან თანამედროვე ხელოვნების მიერ შექმნილ ხელოვნებას. ხელოვნების ისტორიის პერიოდიზაციის მიხედვით თანამედროვე ხელოვნების ეპოქა 1960 წლიდან იწყება. თუმცა, შესაძლებელია, დღევანდელობაში შექმნილი ხელოვნების ყველა ნამუშევარი არ ჩაითვალოს თანამედროვე ხელოვნებად. იგი გარკვეულ შემოქმედებით სტრატეგიებსა და ესთეტიკურ მიზნებს იზიარებს და მოდერნიზმთან ურთიერთმიმართებაში ვლინდება.² ამავდროულად თანამედროვე ხელოვნება ერიდება კატეგორიზაციას. იგი გამოხატვის ყველა მხატვრულ ფორმასა და ჟანრს ფარავს. ცნება „თანამედროვე ხელოვნება“, მხოლოდ სახვით ხელოვნებას არ გულისხმობს, იგი, ასევე, მოიცავს ფოტოგრაფიას, მედიახელოვნებას, გამოყენებით ხელოვნებას, პერფორმანსსა და ხმოვან ხელოვნებას. განსაზღვრება ცვალებადია და მისი შემადგენლობა, შესაძლებელია, გაიზარდოს.

თანამედროვე ხელოვნების ძირითადი აქტორი ხელოვანია. იუნესკოს ბელგრადის 21-ე კონფერენციის მსვლელობისას (1980) მიღებული იქნა ხელოვანის (artist) განსაზღვრება:

- „ხელოვანი“ აღნიშნავს პიროვნებას, რომელიც ქმნის ან შემოქმედებითად გამოხატავს, ან გარდაქმნის ხელოვნების ნიმუშებს, ვინც მხატვრულ შემოქმედებას საკუთარი ცხოვრების ძირითად ნაწილად აქცევს, ვინც ხელს უწყობს ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას, ვინც აღიარებულია ან მოითხოვს იყოს აღიარებული, როგორც ხელოვანი, განურჩევლად იმისა, დაკავშირებულია თუ არა ეს მის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან სახელოვნებო ორგანიზაციასთან.

თანამედროვე ხელოვნება საქართველოში მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, საბჭოთა ეპოქაში, იატაკქვეშეთში ვითარდება. იგი რეაქციულია არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ თანამედროვე ხელოვნები ღიად ერთვებიან საზოგადოებრივ- კულტურულ საქმიანობაში. თუმცა, საქართველოში დღემდე არ არსებობს თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი.

ანალიზი

თანამედროვე ხელოვნების ხელშეწყობა და განვითარება მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფოს მიერ დასახული ევროინტეგრაციის პოლიტიკის მიმდინარე პროცესებისათვის. თანამედროვე ხელოვნება ადამიანის თავისუფალი შემოქმედებითი გამოხატვის პრინციპებს ეფუძნება და ხელოვანს ათავისუფლებს ინსტიტუციურ თუ კერძო პირზე დამოკიდებულებისაგან. თანამედროვე ხელოვნება ემსახურება დემოკრატიის პრინციპებს, ხოლო თავისუფალი ხელოვანი, როგორც „მენარმე“, შემოქმედებითი ეკონომიკის განვითარების საფუძველია.

2016 წლის კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების ანგარიშის შექმნის პროცესში ჩაინერა ინტერვიუები კულტურის სამინისტროს 2 წარმომადგენელთან, შედგა კითხვარი და მის მიხედვით გამოიკითხა თანამედროვე ხელოვნების სფეროში მომუშავე 45 წამყვანი პროფესიონალი, მათ შორის,

² მოდერნიზმი საბჭოთა საქართველოში სოციალისტური რეალიზმის კულტურის ეპოქას ემთხვევა და დამახასიათებელი თავისებურებით ვლინდება. თანამედროვე ხელოვნება საქართველოში ქრონოლოგიურად მოდერნიზმს არ მოსდევს და საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის კულტურასთან მიმართებაში ყალიბდება.

³ სტატისტიკა სახელოვნებო ორგანიზაციებსა და ხელოვნებზე არ არსებობს; ინფორმაცია მიახლოებითა და ეფუძნება ვებგვერდს Georgian Art Portal და კითხვარებს.

ფესტივალის ორგანიზატორი, კურატორი, გალერეის ხელმძღვანელი, მენეჯერი, ჟურნალისტი და აქტიური მხატვრები.

საქართველოში არსებული 50-მდე სახელოვნებო გალერეიდან³ უმრავლესობა სალონურ ხელოვნებას ემსახურება და კომერციულია; თანამედროვე კონცეპტუალურ ხელოვნებაზე აქცენტს, ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, 4 გალერეა აკეთებს - 3 თბილისში და 1 ბათუმში. თანამედროვე ხელოვნების სფეროში ფუნქციონირებს 8 არასამთავრობო ორგანიზაცია, 5 არტ რეზიდენცია; ეწყობა 3 საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი, 2 ფოტოგრაფიის ფესტივალი, 1 თანამედროვე ცეკვისა და პერფორმანსის ფესტივალი. საქართველოდან ხელოვნები მონაწილეობენ საერთაშორისო ღონისძიებებში და ფესტივალებში საზღვარგარეთ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს კურატორებისათვის ვენეციის ბიენალეზე მონაწილეობის მისაღებად.

კითხვარის მონაცემებით თანამედროვე ხელოვნების სფეროში ინფორმაცია წარსული, აწმყო ან მომავალი მოვლენების შესახებ ძირითადად სოციალური ქსელის – ფეისბუქის საშუალებით ვრცელდება. ინფორმაციის მისაწვდომობა რთულია, ძირითადად ქართულ ენაზეა, არ ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას. არ არსებობს პერიოდული გამოცემა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მისაწვდომობას. ევროკავშირის მიერ დადგენილი თანამედროვე ხელოვნებაში არსებული ღონისძიებების ნუსხა ვრცელდება ელფოსტით და ცნობილია გამოკითხულთა მცირე რაოდენობისათვის.

გამოკითხული მხატვრების უმრავლესობას არ მიუღია დაფინანსება კულტურის სამინისტროდან, ასევე, არ ყოფილა გაცვლითი პროგრამით ევროკავშირის ქვეყნებში კულტურის სამინისტროს დაფინანსებით. მხატვართა ნაწილს მონაწილეობა აქვს მიღებული რეზიდენციებში ევროკავშირის ქვეყნებში ისევე ევროკავშირში არსებული ორგანიზაციებისა და ფონდების მხარდაჭერით.

გამოკითხული ხელოვნების მენეჯერებისა და კურატორებისგან კულტურის სამინისტროდან დაფინანსება მიღებული აქვთ მხოლოდ მათ, ვინც მონაწილეობდა ფესტივალის ორგანიზებაში. ამ შემთხვევაშიც გამოცდილება უარყოფითია გაუმართავი საგრანტო სისტემისა და დაფინანსების პროცედურის გამო.

გამოკითხული რესპონდენტებისა და ინტერვიუებებისგან იუნესკოს „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციის შინაარსის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია არც ერთს.

რელიგიური და კულტურული უმცირესობების ჩართულობა თანამედროვე ხელოვნების გამოფენებსა და ღონისძიებებში აღნიშნა მხოლოდ 2-მა გამოკითხულმა.

ინსტიტუციური გაძლიერებისათვის დახმარება კულტურის სამინისტროდან არ მიუღიათ გალერეებს ან თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუციებს.

საზღვარგარეთ თანამედროვე ხელოვნების გამოფენად საქართველოდან, რომელსაც კულტურის სამინისტროს მხარდაჭერა ჰქონდა, მხოლოდ ვენეციის ბიენალე აღინიშნება.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამოქმედო გეგმის პუნქტის 194.2 (კულტურის სფეროში საერთაშორისო ღონისძიებების (ფესტივალები, ბაზრობები, კონფერენციები და სხვა) საქართველოში გამართვა) შესაბამისად ჩამოთვლილია 6 ღონისძიება, რომელთაგანაც თანამედროვე ხელოვნებას მხოლოდ ერთი ესადაგება -2016 წლის ივნისში ქ. თბილისში გამართული ფინელი დიზაინერების, რუდი მერცისა და პიტერ შმიდის, ვორკშოპი, გამოფენა და პუბლიკაცია. ფინელი დიზაინერების ვორკშოპი, რომელიც წარმოადგენდა ხეზე მუშაობის თანამედროვე მეთოდების გაზიარებას ფინელ და ქართველ დიზაინერებს შორის და წამყვანი ფინელი დიზაინერების ვორკშოპებს, ინიცირებული იყო გალერეა „ნექტარის“ მიერ შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ხელოვნების საგრანტო პროგრამის მხარდაჭერითა და, ასევე, ფინეთის ერთ-ერთი ფონდის „HIAP“ მხარდაჭერით. კულტურის სამინისტროს მონაწილეობა განისაზღვრებოდა პუბლიკაციისა და გამოფენის დაფინანსებით.

გამოკითხული ხელოვნების მენეჯერებისა და კურატორებისგან არადაამაკმაყოფილებელი გამოხმაურება აქვს კულტურის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტს „CheckInGeorgia“, რომელიც მასშტაბური კულტურული ღონისძიებების სერიაა. ერთ-ერთი ინტერვიუერის თქმით, პროექტი საჯარო და სამოქალაქო პარტნიორობის უარყოფითი მაგალითია, რადგან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სამოქალაქო სექტორის კულტურული ინიციატივები ერთი ქოლგის ქვეშ მოათავსა და ცენტრალიზებული სახე მისცა, „Check in Georgia“-მ მოიცვა ქართველი და უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით ქვეყნის 19 ქალაქში დაგეგმილი კონცერტები, 35 ფესტივალი, მათ შორის თეატრალური ფესტივალები, კინოფესტივალები, მუსიკალური ფესტივალები, ანიმაციური ფილმების ფესტივალები, თანამედროვე ხელოვნების ფესტივალები, ქორეოგრაფიული ფესტივალი, მოდის კვირეულები და ფოტოფესტივალები. არსებულ ფესტივალებს შორის სახელმწიფო ფინანსებიდან ყველაზე დიდი წილით სარგებლობს თბილისისა და ბათუმის ჯაზფესტივალები.

ყურადსაღებია საერთაშორისო ორგანიზაციების „გამჭვირვალება საქართველო“ და IDFI-ს კვლევა კულტურის სამინისტროს დაფინანსებების პრიორიტეტების შესახებ. როგორც აღნიშნულია კვლევაში: „აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის მარტამდე დაფინანსებული პროექტებიდან ყველაზე მაღალბიუჯეტო პროექტების სიაში ლიდერობენ ჯაზფესტივალები, რომელთა ორგანიზებისთვის შპს ისთერნპრომოუმენს 1 003 984 ლარი გადაერიცხა (400 839 ლარი 2014 წელს თბილისის ჯაზფესტივალისთვის, 603 145 ლარი 2015 წლის ბათუმის ჯაზფესტივალისთვის). საინტერესოა, რომ ამჟამინდელი კულტურის მინისტრი, მიხეილ გიორგაძე, მინისტრის თანამდებობის დაკავებამდე გახლდათ შპს ისთერნპრომოუმენის დირექტორი.“

სამოქმედო გეგმის 194.6 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულ კულტურის სფეროს საერთაშორისო ღონისძიებებში (ფესტივალები, ბაზრობები, ბენალები, ტრიენალები და სხვა) მონაწილე კულტურის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი 24 პროექტის უმრავლესობა არის სხვა ინსტიტუტების, უწყებების ან თავად მონაწილეთა მიერ თანადაფინანსებული. მონაწილე ხელოვნები ძირითადად აღნიშნავენ, რომ დაუფინანსდათ მხოლოდ მგზავრობა ან ეს ხარჯი აუნაზღაურდათ მას შემდეგ, რაც თავად აიღეს ბილეთები. ინტერვიუებში ხშირად ხაზგასმულია: რთული იყო თანხის მოპოვება

გაცვლითი პროექტისათვის, სამინისტრო ითხოვს ფინანსურ გარანტიებს და ა.შ. გამოიკვეთა, ასევე, ინტერესთა კონფლიქტი. რამდენიმე შემთხვევაში გამორჩეულად ძვირადღირებული ღონისძიებების მონაწილეები თავად სამინისტროს წარმომადგენლები არიან.

194.3 მუხლით გათვალისწინებული თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო პლატფორმის ხელშეწყობა. 2016 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი „თანამედროვე ხელოვნების გალერეა“. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში თანამედროვე ხელოვნების მხარდაჭერასა და განვითარებას, ხელს უწყობს თანამედროვე ქართული ხელოვნების, როგორც ადგილობრივ და რეგიონულ, ასევე, საერთაშორისო ექსპოზიციებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმწიფოს ერთადერთი ინიციატივაა თანამედროვე ხელოვნების სფეროში და საქართველოს სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პირველი თანამედროვე ხელოვნების გალერეაა, გამოკითხულთა უმეტესობა ამ ინიციატივის გამჭვირვალობაში შეაქვს ეჭვი, რამდენადაც არ გამოცხადებულა არც ერთი კონკურსი თანამედროვე ხელოვნების გალერეის თანამშრომლის ვაკანსიის დასაკავებლად, პროექტების ან მხატვრების დასაფინანსებლად. ასევე, არადაამაკმაყოფილებლად თვლიან გალერეის პოლიტიკას, რომელიც უცხოელი მხატვრების წარმომჩენაზე აქცენტირებული და ნაკლებად იკვლევს და გამოფენს საქართველოში მოღვაწე თანამედროვე ხელოვანთა ნამუშევრებს.

მნიშვნელოვანი ინიციატივაა ევროსაბჭოს თანამშრომლობით პროექტების COMUS-ისა და LoRDeP-ის განხორციელების მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც მზადდება პროექტის საპილოტე ქალაქების (დუშეთი და ჭიათურა) განვითარების საბაზო გეგმები.

პროგრესული მოვლენა კულტურის სფეროში იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ „კულტურის სტრატეგია 2025“-ის დამტკიცება. სტრატეგიის დაგეგმვასა და შემუშავებაში კულტურის სამინისტრომ ითანამშრომლა ევროკავშირის სტრუქტურებსა და ორგანიზაციებთან. თუმცა, კულტურის სტრატეგიაში არ არის ნახსენები თანამედროვე ხელოვნება და მისი ხელშეწყობა. ასევე, უგულებელყოფილია ხელოვანის სტატუსი და მისი მნიშვნელობა.

აღწერილი პროცესებიდან გამომდინარე, საქართველოში ხელოვანის თავისუფალი შემოქმედებითი საქმიანობა არ არის ნახალისებული. მართალია, შემოქმედებითობა არ არის დამოკიდებული სახელმწიფო უწყებების მართვით პროცესებზე, მაგრამ მის ნახალისებაში დიდი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას. კულტურის პოლიტიკის შექმნაში წამყვანი როლი კულტურის სამინისტროს ეკუთვნის, თუმცა კულტურის პოლიტიკის წარმოება კომპლექსური კანონმდებლობითი და სახელმწიფოებრივი პროცესია. როგორც გამოკითხულთა აზრით, ასევე ფართო საზოგადოებრივი შეხედულებით, კულტურის სამინისტროს წვლილი ქვეყნის კულტურის განვითარებაში უმნიშვნელოა. კულტურული მემკვიდრეობა და კულტურის სხვა სფეროები ძლიერი სახელმწიფო თუ რელიგიური ინსტიტუტების გავლენის ქვეშაა. ხშირია თანამედროვე ხელოვნების გამოფენების

დარბევის ფაქტები. არსებობს საავტორო უფლებების დარღვევის მრავალი შემთხვევა. თუმცა, ხელოვანთან და მის უფლებებთან დაკავშირებული შემთხვევები საკანონმდებლო დონეზე არ განიხილება, რასაც კულტურის სფეროს კანონმდებლობის ზოგადი ხასიათი და მის აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები განაპირობებს.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროების მიერ საქართველოსა თუ მის გარეთ გამართულ ღონისძიებებში მინიმალურად არის ჩართული თანამედროვე ხელოვნება. უპირატესობა ენიჭება ეთნოგრაფიულ გამოფენებსა და ღონისძიებებს. კულტურის პოლიტიკა იმ ღირებულებებისა და საშუალებების ბალანსით უნდა იქმნებოდეს, რომელიც ახალ ქრილში წარმოაჩენს წარსულ კულტურულ ფასეულობებს. ახალი, ტექნოლოგიური განვითარების ერა ყოფილი ან არსებული სისტემების კრიტიკული დისკურსებით იქმნება. თანამედროვე ხელოვნება ორივეს მოიცავს, როგორც გამოსახვის სხვადასხვა საშუალებებს ასევე კრიტიკული დისკურსების ანალიზსაც. საქართველოში, გარდა იმისა, რომ ფართო საზოგადოებისათვის არ არსებობს ხელმისაწვდომი ახალი ტექნოლოგიები, ასევე არ ყალიბდება ბექდური, ვირტუალური თუ ფიზიკური სივრცეები, რომლებიც კრიტიკული დისკურსების შექმნას შეუწყობდა ხელს. გამოცემები, პუბლიკაციები, თავისუფალი ღიად მისაწვდომი სახელოვნებო სივრცეები დღევანდელ საქართველოში თითქმის არ არსებობს, რაც აისახება როგორც ქვეყანაში არსებული სახელოვნებო პროდუქციის ხარისხზე, ასევე სახელოვნებო რესურსების მიგრაციის დონეზე.

საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა მრავალკულტურული ქვეყნის სახის შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გამოფენები, თითქმის არ არსებობს მულტიკულტურული სახელოვნებო ღონისძიებები, სადაც ქართულ ხელოვნებასთან ერთად წარმოჩენილია საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებების სახელოვნებო საქმიანობა. ეს დიდ წილად იმ ტენდენციებთანაც არის განპირობებული, რომ კულტურა აღქმულია, როგორც ეთნოგრაფიული ღირებულება და არა როგორც მიმდინარე პროცესი. მნიშვნელოვანია ხელოვნების ხელშეწყობა განსაკუთრებული აქცენტით რელიგიურ, გენდერულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე.

დასკვნა

საქართველოში თანამედროვე ხელოვნების სივრცე მრავალფეროვანი და მზარდია. არსებობს მცირე რაოდენობის აქტიური ორგანიზაცია და მრავალი ადგილობრივად და საზღვარგარეთ მომუშავე მხატვარი/ხელოვანი. თუმცა, თანამედროვე ხელოვნება არ არის ინსტიტუციონალიზებული და ძირითადად კერძო ინიციატივების საშუალებით ვითარდება; არ არსებობს თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი ან მუზეუმი; საქართველოში უმრავლესობა არსებული გალერეებისა და ორგანიზაციებისა არ ფლობს სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას; არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა ხელოვანის საქმიანობის ხელშეწყობისა და მისი საავტორო უფლებების დაცვისათვის; მხატვრების მობილობას ქვეყნის შიგნით, რეგიონში ან საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური ხელშეწყობა აქვს და ამ შემთხვევებშიც ხშირად აღინიშნება ნეპოტიზმი ან ინ-

ტერესთა კონფლიქტი; არ არსებობს პერიოდული გამოცემა თანამედროვე ხელოვნებაში, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას. თანამედროვე ხელოვნებაში, როგორც კულტურის სხვა დარგებში, შესამჩნევია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ იუნესკოს 2005 წლის კონვენციის იმპლემენტაციის საჭიროება.

რეკომენდაციები:

ზემოაღნიშნულ პრობლემათა დაძლევის მიზნით და იმ კრიტიკული როლის გათვალისწინებით, რომელიც თანამედროვე ხელოვნებას აკისრია საზოგადოების ჩამოყალიბებაში, საჭიროა შემდეგი:

- კულტურასთან დაკავშირებული ევროკავშირის რატიფიცირებული კონვენციების პოპულარიზაცია საზოგადოებაში და აღსრულების უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო უწყებებში კორუფციის, ინტერესთა კონფლიქტების ფაქტების გამოვლენა და გამჭვირვალე პოლიტიკის უზრუნველყოფა;
- სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა და მათი სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზების მცდელობის აღკვეთა;
- „კულტურის სტრატეგია 2025“ სამოქმედო გეგმაში აღნიშვნა თანამედროვე ხელოვნებისა და მასთან ასოცირებული ხელოვნებისა და ინსტიტუციებისათვის სასურველი საკანონმდებლო და მატერიალური გარემოს შექმნის აუცილებლობისა;
- ხელოვნების, კურატორებისა და არტ მენეჯერებისათვის ღია და გამჭვირვალე კონკურსების გამოცხადება-ჩატარება.

საჭიროა ხელი შეეწყოს:

- ხელოვანთა მობილობას; ყურადღება დაეთმოს როგორც ევროპელი ხელოვანების მონვევას, ასევე მათი რაოდენობის შესაბამისი საქართველოს მოქალაქე ხელოვანების გამგზავრებას ევროკავშირის ქვეყნებში;
- კულტურული მრავალფეროვნების ჩართულობას სახელოვნებო ღონისძიებებში;
- ხელოვანთა შემოქმედებით გარემოს სამუშაო პირობებისა და ანაზღაურების გაუმჯობესებით;
- თანამედროვე ხელოვნებაში საერთაშორისო პლატფორმის შექმნას სახელოვნებო რეზიდენციების მხარდაჭერით, მედია-პლატფორმების შექმნითა და ხელოვანების მობილობით;
- საქართველოს რეგიონებში თანამედროვე ხელოვნების ღონისძიებების უზრუნველყოფას;
- სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში თანამედროვე ხელოვნების პლატფორმებს, ხელოვანთა მობილობასა და გაცვლით ღონისძიებებში მონაწილეობას;
- მედიასაშუალებებში თანამედროვე ხელოვნების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას;
- თანამედროვე ხელოვნების პერიოდული გამოცემების შექმნას.